

პაატა ცხადაია

ჰიდრონიმი **ზანა** კოლხეთის ტოპონიმიად

როგორც ცნობილია, ქართული ენის წიაღში, საკუთრივ ქართველურის გვერდით, ორი ენობრივი ნაკადი შეინიშნება: კავკასიური (ივ. ჯავახიშვილი) და ინდოევროპული (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

ქართველურ ენებში კავკასიური ნასესხობის ნიმუშების დასახელების შემდეგ (**ყაბარდოული** ფსგ „წყალი, მდინარე“. შდრ.: ქართ. ფშა//ფშანი და ჰიდრონიმი სუფსა ← სურ-ფსა; **ადიღეური** ყვა- „ლეღე, ხევი“. შდრ.: მალთაყვა; **ჩერქეზული** ბჟინევი „თეთრი ხახვი“, ე.ი. ნიორი). ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: „ზან-: **ნარზანი** ← **ნართზან** — ნართების წყალი (//მდინარე); **ალაზანი** ← **ალანზან**. ზანა მდინარის სახელად დამოწმებულია დასავლეთ საქართველოში“ (ბ. ჯორბენაძე 1997, 43). მეცნიერის ამ შენიშვნიდან ჩვენი ყურადღება იმან მიიქცია, რომ კოლხური ჰიდრონიმი **ზანა** დასახელებულია ზან- ელემენტთან ნარზანსა და ალაზანთან დაკავშირებით.

ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებულია **ზანავი**, რომელიც ერთ შემთხვევაში არაგვისპირა წყაროს სახელია (ნაბუქოდონოსორისაგან ოტებული ურიანი მცხეთის მამასახლისმა „დასხნა არაგუსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვან ზანავი“), ხოლო მეორე შემთხვევაში — მცხეთის უბნისა (ალექსანდრე მაკედონელმა „დაიპყრა ყოველი ქვეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა და პოვნა... ქალაქი დიდი მცხეთა და უბანი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა“ (იხ.: „ქ. ცხ.“ 1955, 16, 17).

გავიხსენოთ, რომ **ზანავი** ეწოდება სოფლებსაც ბორჯომისა (ყვიბისის საკრებულო) და ადიგენის (ჩორჩანის საკრებულო) რაიონებში. მტკვრის ხეობაში ზანავს ასახელებენ ვახუშტიც (ვახუშტი 1973, 380) და იოანე ბატონიშვილიც (აღწერა... 1980, გვ. 370).

ტოპონიმ ზანავს სპეციალური ნარკვევი უძღვნა გურამ ბედოშვილმა (ბედოშვილი 2002, 155-157). აქ ჩვენ დაგვაინტერესა მკვლევრის ორმა არგუმენტმა:

1. ტოპონიმ **ზანავ**-ის ამოსავალი ფუძე **ზან**- არ შეიძლება იყოს ეთნონიმი, როგორც ეს გავრცელებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში: „-ავ სუფიქსი... ჩვეულებრივ, საზოგადო არსებით სახელს მიერთვოდა... თუ ამ წესს დავემყარებით, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ საკვლევე ტოპონიმის **ზან**- ძირშიც არსებითი სახელი იყოს“ (იქვე, 156).

2. ეყრდნობა რა ჰიდრონიმებს ალა-ზან და ნარ-ზან, აგრეთვე უძველეს საისტორიო წყაროში („ქართლის ცხოვრებაში“) დასახელებული არაგვისპირა წყაროს სახელწოდება **ზან-ავ**-ს, გ. ბედოშვილი გამოთქვამს ვარაუდს: „ეგებ **ზან-ავ** ფორმაშიც ამოსავლად ჰიდრონიმული ტერმინი **ზან**- გვევარაუდა და

არა ეთნონიმი ზან-ი. მაშასადამე, **ზანაგ**-ი უნდა გავიგოთ როგორც „წყაროები, წყარომრავალი ადგილი“ (იქვე, 157).

ონომასტიკაში არაერთგზის აპრობირებული მეთოდის თანახმად, თუ უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმი ერთსა და იმავე რეგიონში რამდენიმე ერთგვაროვან გეოგრაფიულ ობიექტს მიემართება, იგი არის საზოგადო სახელი (ე.ი. გეოგრაფიული ნომენი). რადგანაც სახელწოდება **ზანა** კოლხეთში მიემართება ხუთ მდინარეს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ იგი ჰიდროგრაფიული ნომენია და მისი მნიშვნელობაა „წყალი, მდინარე“.

წარმოვადგენთ ამ ჰიდრონიმებს:

1. **ზანა** — მდინარე, ხობისწყლის მარცხ. შენაკადი. ზანა — სოფელი მის მარცხ. მხარეს, სენაკი-ჩხოროწყუს საავტ. გზაზე (ქსე 4, 1979). ქვემო წელზე ეწოდება **ზანაძგა**.

2. **ზანა** — ღელე, მდ. აბაშის მარცხ. შენაკადი ძვ. აბაშისა და განათლებისკარის საზღვარზე (აბაშის რ-ნი). იწყება ონოლიაში. გამოივლის სეფიეთსა და სხვ. სოფლებს.

3. **ზანა** — ღელე, მდ. ჯუმის მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება ურთის კალთებიდან. ვარ.: ბზანა (ურთა-აბასთუმანი, ზუგდიდის რ-ნი).

4. **ზანა/ზანაღალე** — ღელე, მდ. ცივის მარჯვ. შენაკადი. იწყება საწულაიოში. სიგრძე 1,5 კმ. (გაღმა ქარიატა, ხობის რ-ნი).

5. **ზანაღალე** — ღელე, მდ. სკვიის მარცხ. შენაკადი საჯობაში (გამოღმა შუა ხორგა, ხობის რ-ნი). გადააზრების შედეგად დარქმევია ზინაღალეც.

დასკვნა: **ზან**- „წყალი, მდინარე“ საერთოკავკასიურ ჰიდროლექსემას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, კავკასიურ ნასესხობას წარმოადგენს.

P. S. გამოკვლევის დასასრულს გ. ბედომვილი აღნიშნავს: „ეთნონიმი **ზან-ი** ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიში (ზანა, ზან-ათი, სა-ზან-ო...)“. ჩვენი აზრით, საეჭვოა ზანა, საზანო, ზანათი ტოპონიმებში ამოსავალი იყოს ეთნონიმი ზანი. როგორც წესი, ეთნიკური ჯგუფი თავის საცხოვრებელ რეგიონში კონკრეტული ობიექტის სახელდებისათვის საკუთარ ეთნონიმს არ მიმართავს. ზანა, საზანო, ზანათი ტოპონიმები ზანების სამფლობელოში ვერ შეასრულებდა ერთი კონკრეტული ობიექტის სახელის ფუნქციას, მიუხედავად იმისა, **ზან**- იქნებოდა გარეწოდება თუ თვითწოდება. იქნებ სვანები ზღვისპირეთის მკვიდრ მოსახლეობას უწოდებდნენ **ზან-არ**-ს იმის გამო, რომ ისინი ცხოვრობდნენ წყლიან, ჭაობიან მხარეში. ისტორიულ წყაროებში **ზან**- ეთნონიმი არსად დასტურდება.

### ლიტერატურა

**აღწერა... 1980** — იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა: ტოპონიმიკა, II, პროფ. შ. ძიძიგურის საერთო რედაქციით, თბილისი, 1980.

**ბედომვილი 2002** — გურამ ბედომვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2002.

**ვახუშტი 1973** — ქართლის ცხოვრება, ტომი IV. ბატონიშვილი ვახუშტი

ტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

**ქ. ცხ. 1955** — ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი, I, თბილისი, 1955.

**ჯორბენაძე 1997** — ბესარიონ ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბილისი, 1997.

## PAATA TSKHADAIA

### Hydronomen *zana* in Colchian Toponymy

#### S u m m a r y

Among the Caucasian loans models existing in the Georgian bosom B. Jorbenadze also names **zan-** elements (**narzan** ← **nartzan** "water of the Narts", **alazan-i** ← **alan-zan**) and notes: "Zana is the name of a river in the West Georgia". It was the first indication to possible interrelation of the language facts.

G. Bedoshvili expressed his view clearly and elegantly: "Not the ethnonym **zan-i**, but "hydronimic term **zan-**" is initial for the toponym **zanav-i** evidenced in the historical sources (1.a spring and a district in the town Mtckheta; 2. the names of two villages in the Mtkhvari gorge). Thus, **zan-av-i** means a place with springs.

Five rivers in the West Georgian have the name **Zana**. Among them only one **Zana**- a river, left tributary of Khobistsqali in the Khobi region (the village near it is called Zana) is recognized in the special and encyclopaedic literature. The other four names are microrivers (the length of some rivers is 1,5-2 km) and accordingly, their names are microhydromyms:

1. **Zana** - a stream, a left tributary of Abasha, in the Abasha region; 2. **Zana** - a stream, a left tributary of the river Jumi in the Zugdidi region; 3. **Zana** - a stream, a right tributary of the river Tsivi in the Khobi region; 4. **Zana** / **Zanagalu** - a stream, a left tributary of the river Skvii in the Khobi region.

As we see, **Zana** in these five cases are the names of identical geographical places, in these cases the names of rivers and thus, it means "water, river". **Zana** is common Caucasian hydrolexeme or in the extreme case, the Caucasian loan is observable in the Kartvelian languages.